

USAID საბაზისო განათლების პროგრამა და მისი განხორციელება თესაუში

USAID საბაზისო განათლების პროგრამა, რომელსაც აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), საქართველოში ხორციელდება RTI-ის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან პირდაპირი თანამშრომლობით საქართველოს უნივერსიტეტთან და შვიდ რეგიონულ უნივერსიტეტთან პარტნიორობით. აღნიშნულ პროგრამაში, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტი, პროგრამის დაწყების პირველივე ეტაპიდან, 2020 წლიდან, ჩართულია თესაუ.

ამ ხნის განლაგებაში USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელიც მიმართული იყო მოსწავლეზე ორიენტირებული მდგრადი რეფორმის განხორციელებაზე დაწყებით კლასებში. პროგრამა მასშტაბურია, იგი ფაქტიურად ფარავს საქართველოში დაწყებითი განათლების მთლიან სექტორს ძირითადად კითხვისა და მათემატიკის მიმართულებით. კახეთის რეგიონში ამ პროგრამაში ჩართულია 184 საჯარო სკოლა. აქტივობები, რაც დაგეგმილია USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული სკოლებისთვის ხორციელდება თესაუს USAID საბაზისო განათლების პროგრამის გუნდის მიერ, რომელიც შეიქმნა განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის კახეთის რეგიონის მენეჯერი - პროფესორი ნ. ნახუცრიშვილი.

პროგრამის დაწყებიდან დღემდე, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, არაერთი აქტივობა განხორციელდა გუნდის მიერ, რაც მიმართული იყო სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებისკენ და მოიცავდა საჯარო სკოლებში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დამკვიდრების, დაწყებითი კლასების ყველა მოსწავლისთვის კითხვისა და მათემატიკის სწავლის შედეგების ამაღლების, მათთვის კრიტიკულ აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების დაუფლების, კითხვისა და მათემატიკის დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა პროფესიული განვითარების, მომავალ პედაგოგთა პროფესიული მომზადების, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ხელშეწყობას. ეს აქტივობები მოიცავდა მრავალმხრივი ტრენინგების, ქოუჩინგების ჩატარებას, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო რესურსების შექმნას, გაკვეთილებზე დასწრება-შეფასებას და პედაგოგთა მხარდამჭერი მექანიზმების ამოქმედებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გაკვეთილების ჩატარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებას ახალ სასწავლო კურსების შეტანით, პრაქტიკის კვლევის, კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, სადაც თესაუს გუნდის წევრებთან (კონსულტანტებთან) ერთად ჩართულები იყვნენ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები და სკოლის პედაგოგები. ამ და კიდევ არაერთი ხელშეწყობი აქტივობების განხორციელებით მკვეთრად ამაღლდა უნივერსიტეტისა და კახეთის რეგიონის სკოლების ურთიერთთანამშრომლობა.

ამ ეტაპზე, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, თესაუს გუნდის მიერ ხორციელდება **ორი ტიპის აქტივობა:**

კლასგარეშე აქტივობები, განხორციელების ვადა- 2023 წლის 1 ნოემბრიდან მიმდინარე წლის 30 ივნისის ჩათვლით, უკვე მესამე წელია რაც ხორციელდება კახეთის რეგიონში. ამ ეტაპზე ის მოიცავდა ოთხი კლუბის მუშაობას კახეთის რეგიონის ოთხი რაიონის (თელავი, ახმეტა, ყვარელი, გურჯაანი) 35 საჯარო სკოლაში.

ეს კლუბებია:

- იდეატორთა კლუბი (Ideator Clubs) – განხორციელდა ხუთ საჯარო სკოლაში;
- STEM კლუბი – ათ საჯარო სკოლაში
- კითხვის კლუბები – ათ საჯარო სკოლაში
- წიგნის მეგობარი (Book Buddies) – ათ საჯარო სკოლაში

აღნიშნული კლუბების საქმიანობას კონსულტატობას უწევდა თესაუს გუნდის 8 წევრი, აქტივობებში ჩართული იყო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების 28 სტუდენტი და დაწყებითი საფეხურის (მე-4-მე-6 კლ) 411 მოსწავლე.

ყველა კლუბის საქმიანობა მიმართული იყო მოსწავლეთა განვითარებისკენ. იდეატორთა კლუბების მუშაობით მოსწავლეებმა განიმტკიცეს და შეიძინეს საგნობრივი უნარები, კვლევის, სტრატეგიული დაგეგმვისა და გუნდური მუშაობის გამოყენებით. STEM კლუბებში ჩართული მოსწავლეთათვის ეს იყო აღმოჩენების, კვლევა-ძიების, მეცნიერებისა, ტექნოლოგიების მათემატიკის, ინჟინერიის გამოყენებით განხორციელებული საინტერესო პროექტები, აქტივობები. კითხვის და წიგნის მეგობრის კლუბების მუშაობით მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სახის აქტივობებში, რაც უკავშირდებოდა საინტერესო მხატვრული ნაწარმოებების გაცნობას, კითხვას, მსჯელობას და ა. შ.

მიმდინარე წლის 14 და 15 ივნისს თესაუში მოეწყო კლასგარეშე აქტივობების შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც ყველა მონაწილე გუნდმა წარმოადგინა პრეზენტაცია მათ მიერ საანგარიშე პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ. ამავდროულად, იდეატორთა კლუბის და STEM კლუბის მოსწავლეებმა დამსწრეთ წარუდგინეს პროექტის ფარგლებში მათ მიერ შექმნილი ნივთები, რესურსი.

შემაჯამებელ ღონისძიებას თესაუს გუნდის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ USAID საბაზისო განათლების პროგრამის წარმომადგენლები, რომელთაც იდეატორთა კლუბის წევრებს პროექტის სახელით გადასცეს სუვენირები. შემაჯამებელ ღონისძიებას არაერთი სტუმარი დაესწრო: სკოლების წარმომადგენლები, დირექტორები, მშობლები, თესაუს წარმომადგენლები.

ძალიან საინტერესო იყო იდეატორთა კლუბების მიერ წარმოდგენილი პროექტები. კლუბების საქმიანობას წარმართავდნენ თესაუს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 10 სტუდენტი, თითო სკოლაზე 2 სტუდენტი. ხოლო, ამ საქმიანობას ერთგვარ კოორდინირებას უწევდნენ პროგრამის კონსულტანტები;

კლუბის მუშაობის ყოველი ეტაპი იყო საინტერესო და შედეგიანი, რადგან ეს იყო ხალისინი, მოსწავლეთა ინიციატივებსა და აქტივობაზე დაფუძნებული, გუნდურობის

მაღალი პრინციპით ურთიერთთანამშრომლობით ურთიერთობებზე აგებული კლასგარეშე აქტივობა. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში განხორციელდა „მინი კვლევები“.

ხუთივე სკოლის კლუბმა საინტერესო პროექტი წარმოადგინა: „გავაცოცხლოთ ძველი ქართული თამაშები“, „ფუტკარი და მისი სიკეთე“, „იყალბო, კახეთის სავიზიტო ბარათი“, „პურის ცხობის ტრადიციები კახეთში“, „ბებია-პაპების მიერ მოყოლილი სოფელ კალაურის ისტორია.“ ყოველი კლუბის საქმიანობის ფარგლებში შეიქმნა გარკვეული „პროდუქტი“, რესურსები, ნივთი, თვალსაჩინოება და ა. შ. რაც წარმოადგენს იქნა შემაჯამებელ ღონისძიებაზე; გამორჩეულად უნდა აღინიშნოს თელავის მე-8 საჯარო სკოლის იდეატორთა კლუბის ფარგლებში შექმნილი ერთგვარი საგანმანათლებლო რესურსი-კროსვორდი: „თავსატეხი ძველ ქართულ თამაშებზე“, რომელმაც დამსწრეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

იდეატორთა კლუბების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია არის „კვლევა-ძიებითი“ საქმიანობა, რაც მნიშვნელოვან კომპეტენციებს სძენს მოსწავლეებს ამ მიმართულებით, ხდება რა საბაზისო უნარების განვითარების ხელშეწყობა და სოციალური უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარება; ხელი ეწყობა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მოსწავლეებში, ინტერესის აღძვრასა და მოტივაციის ამაღლებას. ამიტომ ამ ტიპის კლუბების ამუშავება სკოლებში არის მეტად ღირებული.

არანაკლებ პროდუქტიული იყო STEAM კლუბების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები კლუბის ფარგლებში შექმნილი მოწყობილობების, რესურსების წარმოდგენით.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ STEAM კლუბების განხორციელება საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეთათვის, გარდა იმისა, რომ დაეფლნენ ცოდნის ტრანსფერის უნარ-ჩვევებს, მათ ამავედროულად შეიძინეს ახალი ცოდნაც, მაგალითად, განხორციელდა Arduino-ს Analog პინების და digital პინების მოქმედების პრინციპის, სერვო ძრავების მოქმედების პრინციპის შესწავლა და მათი მუშაობის პრინციპის მოდელირება, მოხდა სერვო ძრავის გამოყენებით ელ.წრედის აგება ვირტუალურ და ფიზიკურ გარემოში, მისი დაპროგრამება; ორი სერვო ძრავის ერთ წრედში ჩართვა და დაპროგრამება მათი სინქრონული მუშაობისთვის. პროექტისთვის "ჭკვიანი ურნა" საჭირო ინფორმაციის შეგროვება და პრობლემის ანალიზი და სხვა; STEAM კლუბის წევრმა მოსწავლეებმა შექმნილი ცოდნის

ტ

რ

ა

ნ

ს რაც შეეხება წიგნის მეგობრის თუ კითხვის კლუბების საქმიანობას, მთავარი მიზანი იყო მოსწავლეებში წიგნის, კითხვის სიყვარულის გაღვივება, მათი შემეცნებით ინტერესების გაძლიერება, შემოქმედებითობის, მსჯელობის, საკუთარი აზრის მწყობრად გადმოცემის თუ მოსმენის კულტურის, მოსმენილის თუ წაკითხული ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების დაუფლება-გაძლიერება და სხვ. კლუბების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების,

თ

ქ

ტ

შ

მ

ტექნოლოგიების პირობებში, როდესაც ერთობ აქტუალური გახდა მოსწავლეებისათვის წიგნის მნიშვნელობის და წიგნის კითხვის ღირებულების ნათელყოფა, ერთობ დიდ დატვირთვას იძენს იმგვარი სახალისო კლასგარეშე აქტივობების განხორციელება, რაც მოსწავლეს „დააბრუნებს“ წიგნთან, დაანახვებს და შეაგრძნობინებს წიგნის კითხვის ხიბლს. ამ თვალსაზრისით მართლაც საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა როგორც წიგნის მეგობრის, ისე, კითხვის კლუბების საქმიანობა ყველა სკოლაში. აღნიშნული კლუბების საქმიანობაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები თესაუს სტუდენტები და სკოლისა და პედაგოგთა ხელშეწყობით არაერთი საინტერესო ღონისძიება, აქტივობა განახორციელეს კლუბის ფარგლებში. კითხვა, დისკუსია, მსჯელობა, სხვადასხვა სახის აქტივობები უხალისებდათ ბავშვებს სკოლაში სიარულის თითოეულ დღეს. ისინი დეუფლნენ გააზრებული კითხვის, წაკითხულის აზრის გადმოცემის, გაანალიზების, არსებითის, პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოვლენის უნარ-ჩვევებს, რაც ერთობ ღირებული კომპეტენციაა და მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის წარმატებული სწავლისათვის;

შემაჯამებელ ღონისძიებაზე კლუბების წევრებმა, სტუდენტებმა და კონსულტანტებმა დამსწრეთ სრულად წარუდგინეს პრეზენტაციები ჩატარებული აქტივობების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შინაარსის კლასგარეშე აქტივობები უმნიშვნელოვანესია როგორც მოსწავლეებისთვის ასევე იმ სტუდენტებისთვის რომლებიც პროფესიული ზრდა განვითარებისკენ მიისწრაფიან კლუბის დახმარებით სტუდენტები სწავლობენ ბავშვებთან კომუნიკაციას, კლასგარეშე საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებას, ეუფლებიან პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

2. რაც შეეხება მიმდინარე საანგარიშე პერიოდში დაგეგმილ აქტივობას, ის ეხება ახალი **სასწავლო კურსის შექმნას** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის. აქტივობის განხორციელების ვადაა 8 დეკემბერი, 2023 წ-30 აგვისტო, 2024 წ. და აქტიურ ფაზაშია მისი მიმდინარეობა. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში დაგეგმილია და ხორციელდება ინოვაციური სასწავლო კურსის **„ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება დაწყებით კლასში“** შექმნა შესაბამისი პაკეტი: სილაბუსი, ვიდეო-ლექციები, რიდერი, თანდართული სტუდენტთა სამუშაო „ქეისებით“, სავარჯიშოებით და დანერგვა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რითაც ხელს შეუწყობთ პროგრამის წარმატებით განვითარებას; აღნიშნული კურსის შექმნის მიზანია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაცია, ახალი სასწავლო კურსით შევსება, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს მომავალ პედაგოგთა მომზადების ხარისხს.

სასწავლო კურსის საწყისი თემები მოიცავს საკითხებს ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალობის, მიზნების, ამოცანების სწავლების ორგანიზების შესახებ, საკითხები დაკავშირებულია ესგ-სთან, საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და ა. შ.

სასწავლო კურსი მოიცავს ცალკეული ეფექტური პლატფორმების განხილვას, რაც მნიშვნელოვნად წაადგება დაწყებით საფეხურზე არა მარტო მათემატიკის და ქართულის სწავლებას, არამედ სხვა სასკოლო საგნების სწავლებასაც და სტუდენტები შეიძენენ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძვლიან ცოდნას, უნარ-ჩვევებს.

სილაბუსში შეტანილია თემები, რაც უკავშირდება კონკრეტული მიზნით კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივებს,

სასწავლო კურსის შექმნითა და დანერგვით:

- ხელი შეეწყობა მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- სტუდენტები შეიძენენ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც მათი მომავალი პროფესიული წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქნება;
- სასწავლო კურსის შექმნასა და განხორციელებაში სკოლის, საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობით ხელი შეეწყობა უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას სკოლასთან;
- მოხდება მოსწავლის აღზრდა-განვითარების და განათლების პროცესში ამ სამი ინსტიტუციის აუცილებელი თანამონაწილეობის აქტუალური საკითხების დროული გამოვლინება და შესაბამისი ქმედითი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
- ხელი შეეწყობა სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებას, იყვნენ კონცენტრირებულნი ამ თანამშრომლობითი მიმართულებით და მეტი აქტივობები განახორციელონ ამ კუთხით.

ამდენად, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული თუ მიმდინარე აქტივობებით კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა და გაძლიერდა სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა, დაისახა პერსპექტივები შემდგომი თანამშრომლობისთვის, რაც ერთობ მნიშვნელოვანია ორივე ინსტიტუციის განვითარება-გაძლიერების მიზნით, აქტივობებში ჩართული სტუდენტები დაეუფლნენ რიგ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ხელი ეწყობა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებას და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ცვლილებების ასახვას პროგრამაში და რაც ერთობ ღირებულია უნივერსიტეტის ხელშეწყობით ხდება სკოლების განვითარება.

USAID საბაზისო განათლების პროგრამის მენეჯერი კახეთის რეგიონში:

პროფესორი ნინო ნახუცრიშვილი

23.06.24